



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

1959 • 50 • 2009

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ”

(განაცხადი № 41057/04)

განჩინება

სტრასბურგი

2009 წლის 10 თებერვალი

საბოლოო გახდა
10/05/2009

წინამდებარე განჩინება შესაძლოა დაექვემდებარეოს რედაქციულ გადასინჯვას

საქმეში: ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

*ფრანსუაზ ტულკენსი, პრეზიდენტი,
ირენეუ კაბრალ ბარეტო,
ვლადიმერო ზაგრებელსკი,
დანუტე იოჩიენე,
დრაგოლიუბ პოპოვიჩი,
ანდრაშ შაიო,
ნონა წოწორია, მოსამართლეები,
და ფრანსუაზ ელენ-პასოსი, სექციის რეგისტრატორის მოადგილე;*

2009 წლის 20 იანვარს გამართული კონფიდენციალური თათბირის შედეგად, იმავე დღეს გამოიტანა წინამდებარე განჩინება:

პროცედურა

1. საქმე გამომდინარეობს განაცხადიდან (№41957/04) საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც 2004 წლის 10 ნოემბერს სასამართლოში შემოიტანა საქართველოს მოქალაქემ, ქნ-მა *ლალი ხარიტონაშვილმა* („განმცხადებელი“), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად.

2. განმცხადებელს წარმოადგენდა ბ-ნი *ვ. ცხომელიძე* - ადვოკატი თბილისიდან. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდნენ მთავრობის აგენტები – იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები - ბ-ნი *ბ. ბოხაშვილი* და ბ-ნი *დ. თომაშვილი*.

3. 2007 წლის 4 იანვარს, მეორე სექციის თავმჯდომარემ მთავრობას აცნობა განმცხადებლის მიერ გასახლების პროცესის ხანგრძლივობის გასაჩივრების შესახებ. ასევე გადაწყდა განაცხადის დასაშვებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა (29§3 მუხლი).

4. 2007 წლის 7 მაისსა და 10 აგვისტოს, მთავრობამ და განმცხადებლმა თავიანთი მოსაზრებები წარმოადგინეს განაცხადის დასაშვებობის და ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე (სასამართლოს რეგლამენტის 54ა მუხლი).

ფაქტები

5. განმცხადებელი დაიბადა 1952 წელს და ცხოვრობს ქ. თბილისში.

1. საქმის გარემოებები

6. 1999 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლის დედა ოჯახის სახლის ნაწილის მესაკუთრედ აღიარა. 2000 წლის 26 იანვრის ჩუქების ხელშეკრულებით, განმცხადებლის დედამ საკუთრება გადასცა სამ შვილს, მათ შორის განმცხადებელს. ხელშეკრულება ნოტარიუსმა დაამოწმა და მოხდა მისი საჯარო რეესტრში დარეგისტრირება.

7. განმცხადებლის თქმით, სახლის მისი კუთვნილი ნაწილი ეკავა ბატონ ე-ს – ოჯახის ნათესავს, რომელსაც ფართი იჯარით ჰქონდა აღებული 1923 წლიდან. განმცხადებლისა და ბ-ნ. ე-ს სამართალმემკვიდრეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა იყო არაფორმალური იჯარა, რომლის ფარგლებშიც მოიჯარეებს საკუთრება ეკავათ მფლობელის თანხმობით, თუმცა რაიმე კონკრეტული პირობების გარეშე.

2. გასახლების პროცესი

8. 2000 წლის 17 თებერვალს განმცხადებელმა აღძრა საქმე ბნ. ე-ს, მისი მეუღლისა და დედის წინააღმდეგ და მოითხოვა მათი გასახლება ქირის გადაუხდელობის საფუძველზე („გასახლების პროცესი“). სარჩელი იმავე დღეს დარეგისტრირდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში („რაიონული სასამართლო“).

9. 2000 წლის 29 თებერვალსა და 20 ივლისს შორის პერიოდში, სასამართლო მოსმენა 4-ჯერ გადაიდო განმცხადებლის მოთხოვნით. რაიონულმა სასამართლომ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს მოპასუხეთა საიჯარო უფლებების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა დაავალა.

10. 2000 წლის 25 ივლისსა და 21 სექტემბერს, რაიონულმა სასამართლომ მოსმენები შემდეგი მიზეზების გამო გადადო: მოპასუხეთა გამოუცხადებლობა და მათი მიერ წამოყენებული სადავო სახლის ტექნიკური შეფასების მოთხოვნა. რაიონულმა სასამართლომ იუსტიციის სამინისტროს ექპერტს მიმართა რამდენიმე საკითხის თაობაზე სახლის არქიტექტურასთან დაკავშირებით. ექსპერტისათვის პასუხის გაცემის ბოლო ვადა არ მიუთითებიათ.

11. 2000 წლის 25 ოქტომბერს, ექსპერტმა რაიონულ სასამართლოს აცნობა, რომ მიწის სათანადო რეგისტრაციის არარსებობის გამო, მან ვერ შეძლო მთავარი

საკითხისათვის ნათელის მოფენა, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში – ეკავათ თუ არა მოპასუხეებს განმცხადებლის საკუთრება.

12. 2001 წლის 5 თებერვლიდან 2 ივლისამდე პერიოდში, მოსმენა 5-ჯერ გადაიდო განმცხადებლის მოთხოვნით – მისი ავადმყოფობის, ადვოკატის აყვანის საჭიროებისა და მისი საზღვარგარეთ გამგზავრების გამო. იგი საქართველოში 2001 წლის აგვისტოში დაბრუნდა, რის შესახებაც რაიონულ სასამართლოს დროულად ეცნობა.

13. 2001 წლის 6 ნოემბერს, განმცხადებელმა სასამართლოში შეიტანა შეცვლილი სასარჩელო მოთხოვნა და დამატებითი დოკუმენტები.

14. 2001 წლის 26 დეკემბერსა და 2002 წლის 27 თებერვალს დანიშნული მოსმენები მოსამართლის ბიულეტენისა და მოპასუხეთა ადვოკატის დაუსწრებლობის მიზეზებით გადაიდო.

15. 2002 წლის 12 მარტს, მოპასუხეებმა რაიონული სასამართლოდან მიიღეს სასამართლო აკრძალვა, რომელიც განმცხადებელს უკრძალავდა მისი უძრავი ქონების მიწის რეესტრში დარეგისტრირებას გასახლების პროცესის დასრულებამდე.

16. 2002 წლის 10 აპრილიდან 27 მაისამდე პერიოდში საქმის მოსმენა 3-ჯერ გადაიდო მოპასუხეთა ადვოკატის მოთხოვნით. ეს უკანასკნელი ამის მიზეზად ასახელებდა, რომ მას დამატებითი დრო სჭირდებოდა განმცხადებლის მიერ 2001 წლის 6 ნოემბერს შეტანილი განახლებული სასარჩელო განაცხადისა და დამხმარე დოკუმენტაციის გასაცნობად. მან რაიონულ სასამართლოს მიმართა თხოვნით, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან დამატებითი ინფორმაციის მოპოვების თაობაზე.

17. 2002 წლის 3 ივნისს მოპასუხეებმა რაიონულ სასამართლოს მიმართეს შუამდგომლობით, გაეუქმებინა 1999 წლის 29 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილება („საქმის გადასინჯვის მოთხოვნა“). ისინი აცხადებდნენ, რომ გასახლების პროცესი საქმის გადასინჯვის მოთხოვნის შემდეგაც გრძელდებოდა და რაიონულ სასამართლოს სთხოვეს გასახლების პროცესის გადავადება განახლებულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე. მოთხოვნა 2002 წლის 20 ივნისს დაკმაყოფილდა.

18. საქმის გადახედვის მოთხოვნა რამდენჯერმე არ იქნა დაკმაყოფილებული და საბოლოოდ - თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 10 ივნისს განჩინებით; ხოლო რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლის მოთხოვნა 2003 წლის 14 ივლისს დააკმაყოფილა და გასახლების პროცესი განაახლა 2003 წლის ივლისის ბოლოს ან აგვისტოს დასაწყისიდან.

19. 2003 წლის 1 სექტემბერს, რაიონულმა სასამართლომ, განმცხადებლის მოთხოვნაზე დაყრდნობით, კომპეტენტურ სახელმწიფო უწყებებს დაავალა მოპასუხეების წინაპრების შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

20. 2003 წლის 2 ოქტომბრიდან 2004 წლის 23 იანვრამდე, მოსმენა 5-ჯერ გადაიდო მხარეთა თხოვნით. სავარაუდოდ, მოპასუხეებს ესაჭიროებოდათ დრო ახალი ადვოკატის ასაყვანად, განმცხადებლის განაცხადების შესასწავლად ან პირიქით - განმცხადებელს. ერთი მოსმენა ბ-ნ. ე-ს დეიდის გარდაცვალების გამო გადაიდო.

21. 2004 წლის 4 მარტს, რაიონულმა სასამართლომ, განმცხადებლის მოთხოვნაზე დაყრდნობით, „საცხოვრებლის აქტის“ 2003 წლის 5 დეკემბრის ცვლილების 8(1) ნაწილის საფუძველზე დაყრდნობით გასახლების პროცესის გადავადება დაადგინა. განმცხადებელმა შეიტანა წინასწარი აპელაცია აღნიშულ დადგენილებასთან დაკავშირებით, რომელიც საბოლოოდ უარყო თბილისის რაიონულმა სასამართლომ 2004 წლის 30 აპრილს.

22. აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა საქართველოს სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია, რის შედეგადაც შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო („საქალაქო სასამართლო“), რომელსაც გადაეცა წინამდებარე საქმე.

23. 2005 წლის 20 და 26 ივლისს განმცხადებელმა საქალაქო სასამართლოში დააყენა შუამდგომლობა გასახლების პროცესის განახლების მოთხოვნით „საცხოვრებლის აქტის“ 2003 წლის 5 დეკემბრის ცვლილების და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძველზე. პასუხის მიუღებლობის გამო განმცხადებელმა ხელახლა შეიტანა მოთხოვნა 2005 წლის 16 სექტემბერს და დააკონკრეტა, რომ აღნიშნული კანონი საქალაქო სასამართლოს ავალდებულებდა საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას პირველი მოთხოვნის შეტანიდან – ანუ 2005 წლის 20 ივლისიდან ერთი თვის ვადაში.

24. 2005 წლის ივლისიდან სექტემბრამდე პერიოდში, განმცხადებელმა საქალაქო სასამართლოს სთხოვა მისთვის საქმის მასალების ასლების გადაცემა. გაირკვა, რომ საქმის მასალებს არქივში ადგილი შეუცვალეს.

25. მხარეთა მიერ წარმოდგენილ განცხადებებში გასახლების პროცესის ხელახლა დაწყების ზუსტი თარიღი არ იყო მითითებული. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ პროცესი კვლავაც გრძელდებოდა 2006 წლის 13 მარტს, რა დროსაც მოსმენა გადაიდო მოპასუხეთა გამოუცხადებლობის მიზეზით. იმავე დღეს განმცხადებელმა საქალაქო სასამართლოს მიმართა თხოვნით და სასამართლომ დააკმაყოფილა ახალი მოთხოვნების საქმეზე დართვა.

26. 2006 წლის 27 მარტს განმცხადებელმა საქალაქო სასამართლოს მიმართა საოლქო სასამართლოს 2002 წლის 12 მარტის დადგენილების გაუქმების თხოვნით.

27. 2006 წლის 5 მაისს დანიშნული მოსმენა გადაიდო მოპასუხეთა ადვოკატის მოთხოვნით – ეს უკანასკნელი აცხადებდა, რომ მას არ გადაეცა განმცხადებლის 2006 წლის 27 მარტის თხოვნა და, შესაბამისად, არ იყო მზად მასზე პასუხის გასაცემად. ამავე ადვოკატმა ასევე ითხოვა დამატებითი ვადა განმცხადებლების წინაპრებისა და მათი საიჯარო უფლებების შესახებ დოკუმენტურ მტკიცებულებათა წარსადგენად, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. განმცხადებელმა გააპროტესტა და განაცხადა, რომ საქმის მასალებში აღნიშნული ინფორმაცია უკვე წარმოდგენილი იყო.

28. 2006 წლის 30 მაისსა და 9 აგვისტოს მოპასუხეებმა წერილობითი კომენტარები შეიტანეს განმცხადებლის 2006 წლის 27 მარტის შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

29. 2007 წლის 1 აგვისტოს, საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებლების მოთხოვნა და დაადგინა, რომ სახლის სადავო ნაწილზე ტექნიკური ექსპერტის დასკვნა საჭირო იყო საქმის სათანადოდ განსახილველად.

იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეები განმცხადებლის მტკიცებას არ ეთანხმებოდნენ, რომლის თანახმად მათი საიჯარო ფართი განმცხადებლის უძრავ ქონებას ემთხვეოდა, სასამართლომ მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზე იუსტიციის სამინისტროს ექპერტს დაევალა შენობის არქიტექტურის შესახებ რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა. კითხვები იყო იგივე, რაც საოლქო სასამართლოს მიერ იქნა დასმული 2000 წლის 21 სექტემბერს (იხ. §§ 10-11). საქალაქო სასამართლოს იუსტიციის სამინისტროსათვის პასუხის ბოლო ვადა არ მიუთითებია. ექპერტიზის დასკვნის მოლოდინში გასახლების პროცესი გადავადდა.

30. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ პროცესი კვლავაც მიმდინარეობს საქალაქო სასამართლოში. დღეის მდგომარეობით პროცესი უკვე 8 წელიწადსა და თერთმეტ თვეზე მეტხანს გრძელდება.

სამართალი

I. კონვენციის მე-6 მუხლის (§1) სავარაუდო დარღვევა

31. განმცხადებელმა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტიდან გამომდინარე, გაასაჩივრა გასახლების პროცესის ხანგრძლივობა და არაკანონიერება. აღნიშნული მუხლის მიხედვით:

„სამოქალაქო უფლებების და ვალდებულებების დადგენის პროცესში ... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ“

ა. დასაშვებობა

32. გასახლების პროცესი გრძელდება პირველი ინსტანციის სასამართლოში და ამდენად პროცესის გაჭიანურებასა და უკანონობაზე პრეტენზიის წარდგენა ნაადრევია. ამგვარად აღნიშნული მოთხოვნა არ განიხილება კონვენციის 35-ე მუხლზე (§§ 1 და 4) დაყრდნობით – შიდასამართლებრივი საშუალებების არ ამოწურვის გამო.

33. რაც შეეხება გასახლების პროცესის ხანგრძლივობას, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს პრეტენზია აშკარად დაუსაბუთებლად არ უნდა ჩაითვალოს, კონვენციის 35-ე მუხლის (§3) გათვალისწინებით. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ აღნიშნული დაუშვებლად არ შეიძლება ჩაითვალოს რაიმე სხვა საფუძველზე დაყრდნობითაც. შესაბამისად, პრეტენზია მიიჩნევა დასაშვებად.

ბ. არსებითი განხილვა

1. მხარეთა არგუმენტები

34. მთავრობის განცხადებით, გასახლების პროცესის ხანგრძლივობა არ იყო არაგონივრული, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი სირთულიდან გამომდინარე და განმცხადებლის მოქმედებების გათვალისწინებით. სასწორზე იდო „მფლობელ-მაცხოვრებელს“ შორის არსებული ურთიერთობის დელიკატური და რთული სოციალური პრობლემა საბჭოური სამოსახლო კანონის ფონზე („отступной“). განმცხადებლის საქმის სირთულე ასევე მტკიცდება იმ ფაქტით, რომ შეუძლებელი გახდა სადავო საკუთრების ტექნიკური შეფასება, რასაც თან სდევდა ძველი დოკუმენტაციის სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების არქივებიდან ამოღებასთან დაკავშირებული პრობლემები - ზოგიერთი დოკუმენტი მეოცე საუკუნის დასაწყისით თარიღდებოდა.

35. მთავრობის განცხადებით, ადგილობრივ სასამართლოებში უმოქმედობის ხანგრძლივი პერიოდები არ დაფიქსირებულა. პირიქით, მოსმენების გადადება ხშირ შემთხვევაში განმცხადებლის მოთხოვნით ხდებოდა. თუ დავუშვებთ, რომ გასახლების პროცესი უფრო აქტიურად უნდა წარმართულიყო 2005 წლის მაისიდან, მთავრობამ მაინც სთხოვა სასამართლოს საპატიო მიზეზად მიეღო სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია და გადავადებული სამოქალაქო საქმეების დიდი ოდენობა. გარდა ამისა, საჭირო იყო დიდი სიფრთხილის გამოჩენა განმცხადებლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, იმის გამო, რომ შედეგი ზეგავლენას იქონიებდა და მნიშვნელოვანი იქნებოდა „მფლობელ-მაცხოვრებელს“ შორის მიმდინარე მრავალრიცხოვანი დავისათვის.

36. განმცხადებელმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული საქმე პირველი არ ყოფილა ამ ტიპის საქმეებს შორის. მან აღნიშნა, რომ 2001-2002 წლებში უზენაესმა სასამართლომ მიიღო დაადგენილებები 13 საქმეზე, რომლებიც მოიცავდა მსგავს საკითხებს, „საცხოვრებლის აქტის“ საფუძველზე. ამგვარად, ადგილობრივი სასამართლოებისათვის რთული არ უნდა ყოფილიყო განმცხადებლისათვის საკუთრების სრული უფლების აღდგენა, 1999 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების და 2000 წლის 26 იანვრის ჩუქების ხელშეკრულების მხედველობაში მიღებით.

37. განმცხადებელი დაეთანხმა იმ ფაქტს, რომ რამდენიმე მოსმენა გადაიდო მისი მოთხოვნით. თუმცა, აღნიშნული მოთხოვნები ყოველთვის დასაბუთებული იყო და შედეგად ნებადართული გადავადებები ხდებოდა დადგენილი ვადის მითითებით და ხანმოკლე ხანგრძლივობით, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ პროცესის მთლიან ხანგრძლივობას. განმცხადებელი ასევე დაეთანხმა იმ ფაქტს, რომ საჭირო იყო სახელმწიფო უწყებებიდან ინფორმაციის მოპოვება, თუმცა გააკრიტიკა ადგილობრივი სასამართლოები იმის გამო, რომ ამასთან დაკავშირებით მათ არ აქვთ დაწესებული კონკრეტული ვადები, რის არარსებობამაც მიმდინარე პროცესი კიდევ უფრო გააჭიანურა. განმცხადებელი ვერ იქნებოდა დაინტერესებული პროცესის დაყოვნებით, რადგან მისსავე ინტერესებში

შედიოდა პროცესის უმოკლეს ვადაში დასრულება და მისთვის საკუთრების უფლების სრული აღდგენა.

38. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ „საცხოვრებლის აქტში“ შეტანილი ცვლილებები არ შეიძლება ჩაითვალოს მის საქმეზე გადაწყვეტილების მიუღებლობის მიზეზად (იხ. §21). კანონმდებელსაც კი შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა სასამართლო პროცესის დროში გაწელების გამო, თუ კონკრეტულ უფლებამოსილ უწყებას დასჭირდა ხანგრძლივი დრო საკითხის დასარეგულირებლად. არც სასამართლო სისტემის რეორგანიზაცია არ არის დაყოვნების გასამართლებელი საფუძველი. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა აშკარაა, რადგანაც განმცხადებლის საქმეს კვლავ განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო.

2. სასამართლოს შეფასება

39. სასამართლო აცხადებს, რომ პროცესის ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე და შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა მოხდეს: საქმის კომპლექსურობა და სირთულე, განმცხადებლისა და შესაბამისი უწყებების მოქმედებები და განმცხადებლის ინტერესი დავის ფარგლებში (იხ. სხვა წყაროთა შორის, Mikulić v. Croatia, no. 53176/99, § 38, ECHR 2002-I).

40. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის დავა დაიწყო საბჭოთა პერიოდში და იჯარის სპეციფიკურ ელემენტებს ეხება, რომელსაც ითვალისწინებდა საბჭოური სამოსახლო კანონი („отступной“), სასამართლოს მიაჩნია, რომ გასახლების პროცესი შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო, როგორც რთული და კომპლექსური.

41. პროცესი აშკარად მნიშვნელოვანი იყო განმცხადებლისთვის, იმის გამო, რომ სასწორზე იდო ოჯახისგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებაზე მისი საკუთრების უფლება.

42. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოსმენების საკმაოდ მცირე ნაწილი გადაიდო განმცხადებლის მოთხოვნით და მისი განცხადებები/მოთხოვნები იყო საკმაოდ ვრცლად ფორმულირებული, რაც პროცესის ტემპს გარკვეულწილად აფერხებდა. თუმცა, გამოწვეული შეფერხებები არასოდეს ყოფილა მნიშვნელოვანი მოცულობის და მათი ხანგრძლივობა იყო ერთიდან ორ თვემდე (იხ. §§ 10, 12-14, 19-20). აქედან გამომდინარე, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ განმცხადებლის მოქმედებები წარმოადგენდა მთლიანი პროცესის გაჭიანურების მიზეზს. გარდა ამისა, მოსმენის გადავადების თაობაზე განმცხადებლის მიერ შეტანილ მოთხოვნათა უმეტესობა, განსაკუთრებით წინა-სასამართლო ეტაპზე, წარმოადგენდა მის მიერ საპროცესო უფლებათა განხორციელებას, რაც მიზნად ისახავდა საჭირო მტკიცებულებების მოპოვებას, რომელთა გარეშეც საქმის მომზადება არსებითი განხილვისათვის შეუძლებელი იქნებოდა.

43. რაც შეეხება სახელმწიფო უწყებების მოქმედებებს, სასამართლოსათვის მისაღებია მთავრობის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მთლიანობაში მოსმენები

რეგულარული ინტერვალით ინიშნებოდა. სასამართლოს ასევე მიაჩნია, რომ რაიონული სასამართლოს 2004 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება „საცხოვრებლის აქტის“ საფუძველზე გასახლების პროცესის დროებით შეჩერების თაობაზე გონივრული გადაწყვეტილება იყო. მოპასუხე სახელმწიფოს ჰქონდა დამატებითი რეგულაციების მათ შორის გასახლების პროცესის დროებით შეჩერების სისტემის შემოღების უფლება, დასახლების სექტორში საზოგადოებრივი წესრიგის პრობლემების მოგვარების მიზნით. ზოგადად, პროცესის იმ ვადით დაყოვნება, რაც საჭიროა საზოგადოებრივი წესრიგის პრობლემის დადებითად გადასაჭრელად, შეიძლება გამართლდეს იქნას გამონაკლის შემთხვევებში (იხ. *mutatis mutandis*, *Immobiliare Saffi v. Italy* [GC], no. 22774/93, §§ 54, 69, 70 and 73, ECHR 1999-V; *Kutić v. Croatia*, no. 48778/99, §§ 27-31, ECHR 2002-II).

44. თუმცადა, მთავრობას დამაჯერებელი ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია იმის თაობაზე, თუ რატომ იყო უმოქმედოდ ადგილობრივი სასამართლოები დაახლოებით შვიდი თვის განმავლობაში – 2006 წლის 13 მარტამდე (იხ. §§ 23-25), მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა 2005 წლის 20 ივლისს დააყენა პროცესის განახლების შუამდგომლობა. შედეგად, მოსმენების რეგულარული ინტერვალით დანიშვნის პრაქტიკის აღდგენის მიუხედავად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მაინც ვერ ახერხებდა საქმის დროულ განხილვას. სამწუხარო ფაქტია, რომ გასახლების პროცესი მიმდინარეობს უკვე 8 წლისა და 11 თვის მანძილზე, პირველი ინსტანციის სასამართლო კი კვლავაც საწყის ეტაპზე არსებული საპროცესო სირთულეების წინაშე დგას, კერძოდ იხილავს სადავო სახლის ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების საჭიროებას (იხ. §§ 10-11 და 29). რაც შეეხება მთავრობის მიერ მიზეზად დასახელებულ დაყოვნებული საქმეების დიდ ოდენობასა და სასამართლო სისტემის რეორგანიზაციას, სასამართლო ამტკიცებს, რომ საქმეების ქრონიკული დაგროვება არ არის გადამეტებული დაყოვნების დასაბუთებული ახსნა და მეორეც, კონვენციის წევრი სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს სასამართლოს ორგანიზებაზე ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას ყოველი მოქალაქის უფლება მათი სამოქალაქო უფლებების და ვალდებულებების დადგენასთან დაკავშირებით “გონივრულ ვადაში” (იხ. *Probstmeier v. Germany*, 1 July 1997, § 64, Reports of Judgments and Decisions 1997-IV; *Pavlyulynets v. Ukraine*, no. 70767/01, § 51, 6 September 2005; *G.H. v. Austria*, no. 31266/96, § 20, 3 October 2000).

45. სასამართლოს მიაჩნია, რომ მიმდინარე საქმეში მთავარი პრობლემა არის ის, რომ ადგილობრივი სასამართლოების მიერ არ იქნა მიღებული ეფექტური დისციპლინური ზომები მხარეების მიმართ და პროცესის ორგანიზებული მსვლელობა არ იქნა უზრუნველყოფილი. მაგალითისთვის, ადგილობრივ სასამართლოებს ორგანიზება რომ გაეკეთებინათ მხარეთა დამატებითი წარდგინებების წინასწარი გაცვლისათვის, საჭირო აღარ გახდებოდა ამ მიზეზით რამოდენიმე მოსმენის გადადება (იხ. §§ 16, 20 და 27). გარდა ამისა, არ ყოფილა გათვალისწინებული მხარეთათვის დამატებითი განმარტებების წარმოდგენაზე მოთხოვნათა რაოდენობის შეზღუდვის შესაძლებლობა. ადგილობრივი სასამართლოებს ასევე უნდა დაეწესებინათ მოთხოვნილი დოკუმენტებისა და

ექსპერტის დასკვნების წარმოდგენის კონკრეტული ვადები სახელმწიფო უწყებებისათვის (იხ. Rachevi v. Bulgaria, no. 47877/99, § 90, 23 September 2004; Peryt v. Poland, no. 42042/98, § 57, 2 December 2003; Sobierajska-Nierzwicka v. Poland, no. 49349/99, § 112, 27 May 2003).

46. წარმოდგენილი საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ რვა წელიწადი და თერთმეტი თვე გავიდა და პირველი ინსტანციის სასამართლომ ვერ შეძლო საქმის არსებითი განხილვა (იხ. Csanádi v. Hungary, no. 55220/00, §§ 35 and 16, 9 March 2004; Sobierajska-Nierzwicka, cited above, § 113), სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის საქმე არ იქნა მოსმენილი „გონივრულ ვადაში“.

ამგვარად, აღნიშნული წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის (§1) დარღვევას.

II. კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევა

47. განმცხადებელი ასევე ასაჩივრებდა, რომ პროცესის ხანგრძლივობა არღვევდა მისი საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას, რასაც 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი ითვალისწინებს.

48. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი უკავშირდება ზემოაღნიშნულ საჩივარს და მის მსგავსად დასაშვებად უნდა იქნას მიჩნეული.

49. თუმცა, მე-6 მუხლზე (§1) დაყრდნობით გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით (იხ. §46), სასამართლო მიიჩნევს, რომ არ წარმოადგენს საჭიროებას იმის გამოკვლევა, ჰქონდა თუ არა ადგილი კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი პუნქტის დარღვევას (იხ. Zanghi v. Italy, 19 February 1991, § 23, Series A no. 194-C).

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

50. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

51. განმცხადებელმა 18,480 ევრო მოითხოვა მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, რადგან მან დაკარგა სადავო ფართიდან მისაღები ქირის თანხა.

განმცხადებელმა ასევე მოითხოვა 20,000 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

52. მთავრობამ აღნიშნული მოთხოვნები გააპროტესტა.

53. სასამართლო ვერ ადგენს რაიმე მიზეზობრივ კავშირს დადგენილ დარღვევებსა და სავარაუდო მატერიალურ ზიანს შორის; შესაბამისად, სასამართლო აცილებას აძლევს აღნიშნულ მოთხოვნებს. თუმცა, სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელს შეძლებოდა მიდგომოდა არამატერიალური ზიანი. ობიექტური საფუძვლებიდან გამომდინარე სასამართლო განმცხადებელს მიაკუთვნებს 3,200 ევროს აღნიშნულ პუნქტში.

54. გარდა ამისა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქმის მასალების თანახმად განმცხადებლის სახლთან დაკავშირებული დავა კვლავაც გრძელდება ადგილობრივ სასამართლოებში (იხ. §§ 30 და 46), სასამართლოს მიაჩნია, რომ კომპენსაციის ყველაზე შესაფერისი ფორმა იქნება მისი დარჩენილი ნაწილის დასრულება შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში, კონვენციის მე-6 მუხლის (§1) ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით ჩატარებული პროცესის სახით (იხ. *Uğuz v. Turkey*, no. 31932/03, § 30, 13 December 2007).

ბ. გაწეული ხარჯები და დანახარჯები

55. განმცხადებელმა ასევე მოითხოვა 500 ევრო ადგილობრივ სასამართლოებში გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად და 800 ევრო ევროპულ სასამართლოში გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად. იმ ანგარიშ-ფაქტურების გამოკლებით, რომელთა თანახმადაც განმცხადებელმა ჯამში გადაიხადა 66.40 ლარი (36 ევრო) – სასამართლოსთან საფოსტო და ფაქსის კომუნიკაციის ხარჯები, განმცხადებელს არ წარმოუდგენია სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

56. მთავრობამ აღნიშნული მოთხოვნები გააპროტესტა.

57. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, განმცხადებელს გაწეული ხარჯი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნაზღაურდება, თუ ის ადასტურებს, რომ ხარჯი ნამდვილად გაწეულია, რომ ეს აუცილებელი იყო და თანხის ოდენობა გონივრულ ფარგლებშია. მოცემულ საქმეზე გათვალისწინებულია სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ზემოაღნიშნული გარემოებები, რის საფუძველზეც სასამართლოს გონივრულად მიაჩნია დასაბუთებული ხარჯის ანაზღაურება, რაც 36 ევროს შეადგენს.

გ. საურავი

58. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. ადგენს პროცესის გადაჭარბებული ხანგრძლივობის თაობაზე შემოტანილი პრეტენზიის დასაშვებობას, განაცხადის დანარჩენ ნაწილს კი დაუშვებლად მიიჩნევს.

2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის (§1) დარღვევას;

3. ადგენს, რომ

ა. მოპასუხე სახელმწიფომ, განმცხადებელს, კონვენციის 44-ე მუხლის (§2) შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს:

I. 3,200 (სამი ათას ორასი) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

II. 36 (ოცდათექვსმეტი), ევრო, გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

ბ. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

5. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2009 წლის 10 თებერვალს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის (§§ 2 და 3) შესაბამისად.

ფრანსუაზ ელენ-პასოსი
სხდომის მდივნის თანაშემწე

ფრანსუაზ ტულკენსი
სასამართლოს თავმჯდომარე